## კარგი თამაშის მიუხედავად…

დონეცკი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 8 ივნისი.

“შახტიორი” (დონეცკი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

“შახტიორი”: დეგტიარიოვი, იარემჩენკო, გორბუნოვი, კონდრატოვი, პიანიხი, პროტულინი (ვასინი), როგოვსკი, შევლიუკი, სტარუხინი, დუდინსკი (ფედორენკო), სოკოლოვსკი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი (ხიზანიშვილი), ჩივაძე, გ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

მსაჯი: გ. ნალბანდიანი (ერევანი).

გაფრთხილებული არიან პიანიხი, გუცაევი.

დუბლიორები – 1:3.

ჩემპიონატის ლიდერის გამოსვლას დონეცკში დიდი ინტერესით მოელოდნენ. დონეცკელმა ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ თბილისის “დინამო” წლეულს კარგ ფორმაშია, წარმატებით თამაშობს პირველობის მატჩებშიც და თასის შეხვედრებშიც, რომ მის შემადგენლობაში დაწინაურდა რამდენიმე ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელი.

ეს მოლოდინი გამართლდა, თბილისელებმა მაღალი ტემპით, ლამაზად, ტექნიკურად ითამაშეს, ტერიტორიული უპირატესობა მათ საგრძნობი ჰქონდათ, “შახტიორის” კართან 90 წუთის მანძილზე არაერთი საგოლე სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები უზუსტო იყო. ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა შეექმნათ ყიფიანს, ჩელებაძეს, ნახევარმცველებიც ხშირად ერთოდნენ შეტევაში, ხელსაყრელ მომენტებს კი ვერც ისინი იყენებდნენ.

სახიფათო იერიშებს მასპინძლებიც ქმნიდნენ, მაგრამ საინტერესო ბრძოლაში დრო გადიოდა, შედეგი კი არ ჩანდა. მატჩის ბედი გადაწყდა 82–ე წუთზე, როცა გარღვევაზე გასული სოკოლოვსკი წააქციეს “დინამოს” საჯარიმო მოედანზე. ვასინმა პენალტი გამოიყენა – 1:0.

შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე დაინიშნა თავისუფალი დარტყმა. “შახტიორის” კარი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ დინამოელთა რამდენიმე დარტყმამ მიზანს ვერ მიაღწია.

მატჩის შემდეგ გამართულ პრეს–კონფერენციაზე თბილისელთა უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა აღნიშნა დონეცკელთა მაღლი ბრძოლისუნარიანობა, ფიზიკური თვისებები. “შახტიორის” ხელმძღვანელმა ვ. სალკოვმა კი საგანგებოდ გაუსვა ხაზი თბილისის “დინამოს” კარგ თამაშს. მისი აზრით, ეს გუნდი ახლა ერთ–ერთი საუკეთესოა უმაღლეს ლიგაში და საპრიზო ადგილზე გასვლის სრული შესაძლებლობა აქვს. სტუმრებიდან მან გამოყო ყიფიანი, გუცაევი, მუჯირი.

**ბ. სტრელკო (ტელეფონით, ჩვენი კორ.).**
**“ლელო”, 10 ივნისი, 1976 წ.**